ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1474588

ნომერი: AR1249976

თარიღი : 10.09.2014

გაცემის თარიღი : 12.09.2014

გაცნობის თარიღი : 18.09.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭიჭინაძე , N 6 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭიჭინაძე , N 6 , ნაკვეთი 15/018 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭიჭინაძე , N 6 , მიმდებარედ , ნაკვეთი 15/019 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ვასაძე პ/ნ 01027052820
- ჭიჭინაძის ქ. კორპ.29დ, ბ-45

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

1. იმისათვის, რომ სამსახურმა განსაზღვროს არის თუ არა საპროექტო შენობა/ნაგებობა I კლასის მახასიათებლების მქონე, საჭიროა წარმოდგენილ იქნას საპროექტო ჭრილი ყველა ნიშნულისა და ზომის მითითებით და "მოთხოვნის ტექსტი"-ს გრაფაში აღინიშნოს ის გარემოება, რომ დამხმარე შენობა ერთსართულიანია.
2. დამატებით წარმოსადგენია საპროექტო შენობის მთლიანი მოცულობის ამსახველი ფოტოვიზუალიზაცია, კერძოდ გვერდითა ხედიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა და მასზე დამუშავებული ფოტომონტაჟი ყველა ზომების მითითებით, მათ შორის არსებული შენობიდან დაშორების მანძილიც;
3. თანახმად ამონაწერისა საჯარო რეესტრიდან მიწის ნაკვეთზე დარეგისტრირებულია შეზღუდვა - "დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის ნებართვის გარეშე". მოიხსნას შეზღუდვა და განახლდეს ამონაწერი.

აღნიშნულის შესახებ თქვენ უკვე გეცნობათ AR1214600 განცხადებაზე №1243790 გადაწყვეტილებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.